სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 160

2021 წლის 15 დეკემბერი

ქ. თბილისი

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2021 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანების „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2021 წლის კონკურსის გამოცხადების შესახებ" - სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის N135 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პრაგრამა და პირობების მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 14 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1365183) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2021 წლის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას პროექტების ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

016300

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2021 წლის 15 დეკემბრის №160 ბრძანებით

2021 წლის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

№	პროექტის შიფრი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	MR-21-475	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფურიეს ზოგადი მწრივების კრებადობის საკითხი სასრული ვარიაციის ფუნქციებისათვის	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩა განუხილველი.
2	MR-21-1158	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სალმონელას მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგების დეკონტამინაციური მოქმედების შესწავლა სამოდელო ცდებში	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩა განუხილველი.
3	MR-21-161	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მდ. მესტიაჭალას აუზის მყინვარების კვლევა კლიმატის ცვლილების ფონზე და მათი გავლენა მდ. მესტიაჭალას ჩამონადენზე	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩა განუხილველი.